

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სხდომის  
ო.ქ.მ.ი №24

2019 წლის 6 დეკემბერი, 12:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: საკრებულოს თავმჯდომარე-კარლო ჯამბურია.  
სხდომას ესწრებოდნენ:  
საკრებულოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

-1-

**მოისმინეს:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად გრიგოლ ჭილაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

/მომხს: ს. კვერნაძე/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 23, წინააღმდეგი-0)  
გადაწყვიტეს:**

ცნობილ იქნეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად გრიგოლ ჭილაძის უფლებამოსილება.

/განკარგულება №69-ი თან ერთვის/

-2-

**მოისმინეს:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ი. ხაჩიძე/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 23, წინააღმდეგი-0)  
გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესი“ დანართის შესაბამისად.

/დადგენილება №21 თან ერთვის/

-3-

**მოისმინეს:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს:კ.ჯამბურია/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 23, წინააღმდეგი-0)  
გადაწყვიტეს:**

მიეცეს თანხმობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მშვიდობიანში მდებარე, 3587.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, (ს/კ 54.07.54.005) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, გადასცეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას“.

/განკარგულება №68-ი თან ერთვის/

*მოისმინეს:*

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.


*/მომხს:კ.ჯამბურია/*

*კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 23, წინააღმდეგი 0) გადაწყვიტეს:*

მიეცეს თანხმობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლაგოდეხში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის შენობის პირველ სართულზე არსებული ორი ოთახი, საერთო ფართი 32.5კვ.მ. უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს.

*/განკარგულება №67-ი თან ერთვის/*

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია